„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №1 (9567-68) ● 1-31 იანვარი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

გილოცავთ!

14 იანვარი - კალანდა

14 იანვარი - ქართული თეატრის დღე

27 იანვარი - ნინოობა

მუნიციპალიტეტის მერიაში

ჯადოსნური საახალწლო დღეები

23 დეკემბერს, ქალაქის მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო. საკონცერტო პროგრამით, სენაკელების წინაშე წარდგნენ, ცნობილი ქართველი შემსრულებლები: ანრი ჯოხაძე, ქრისტინე იმედაძე, ბაკო ალანია და ბენდი.

პროექტის - ,,ერთად ავანთოთ სენაკის მთავარი ნაძვის ხე" ფარგლებში, საზეიმოდ გაიხსნა საშობაო სოფელი; სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივით ჩატარდა შემეცნებით -გასართობი აქტივობა - ,,შექმენი კრეატიული ნაძვის ხე", გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი; მოეწყო საახალწლო პერსონაჟების კოსტიუმირებული მსვლელობა; სანტაკლაუსების საახალწლო ფლეშმობი; გასართობი სივრცე - ბავშვებისთვის; გაიმართა სახალისო, ინტელექტუალური თამაში. გამარჯვებული გუნდის ზღაპრული დასვენება ათენში უზრუნველყო კომპანია ,,ჯაოკენმა" და რეგიონში პირველმა სავაჭრო ცენტრმა ,,ზუგდიდი მოლი". სენაკელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვეს: საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის, ხობის და ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გიორგი ხახუბიამ და სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სენაკს, წელს, საახალწლო ილუმინაციები საჩუქრად გადაეცა. საახალწლო კონცერტი სენაკში, გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა. შოუს, მსახიობი, გიორგი ჭანტურია უძღვებოდა.

***

30 დეკემბერს ყოფილ სამხედრო ქალაქში, აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური დასახლების ტერიტორიაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას და საკრებულოს წევრის, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, გიგა წურწუმიას ინიციატივით, საახალწლო კონცერტი გაიმართა.

საახალწლო კონცერტში მონაწილეობა ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა, ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს.

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ ყოფილ სამხედრო დასახლებაში, საახალწლო ნაძვის ხე პირველად, საზეიმოდ, 2022 წელს აინთო.

***

31 დეკემბერს ქალაქის მთავარ მოედანზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სანახაობრივად დატვირთული საახალწლო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, 17:00 საათიდან, საახალწლო სოფელში გაიხსნა საახალწლო ბაზრობა - ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. გაიმართა კონცერტი - ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით; კოსტიუმირებული ორკესტრისა და ზღაპრის გმირების მსვლელობა; მოეწყო საბავშვო სივრცეები; 23:00 საათზე, სენაკელების წინაშე წარდგნენ ანსამბლი ,,რუსთავი" და ჯგუფი - ,,რეზო და ბავშვები". შოუს თამუნა გომართელი უძღვებოდა.

***

მაცხოვრის შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სენაკში, ალილოს ტრადიციული მსვლელობა გაიმართა. სასულიერო პირების და ,,ალილოს" მრევლის მსვლელობა, საწინამძღვრო ჯვრების, შობის ხატისა და დროშების თანხლებით, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო და სენაკის ცენტრალური ქუჩების გავლით, მუნიციპალიტეტის მერიის შენობის მიმდებარედ დასრულდა.

ალილოს მონაწილეებს, მზრუნველობამოკლებული მოხუცების, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შეგროვებული ნობათები გადასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პრიორიტეტები,

სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი 22 274 600 ლარს შეადგენს, რაც 2023 წელთან შედარებით, 2 528 500 ლარით გაიზარდა.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	11441,7	6356,8	5084,9
02 01	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა	5507,8	5417,8	90,0
02 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექ-სპლოატაცია	1553,6	0,0	1553,6
02 03	ბინათმშენებლობა	812,0	0,0	812,0
02 04	სოფლის მეურნეობის ღონისძიებები	43,4	0,0	43,4
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	500,0	0,0	500,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1330,4	50,5	1279,9
02 07	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	176,0	0,0	176,0
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	150,5	150,5	0,0
02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრა-მა	130,0	0,0	130,0
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	738,0	738,0	0,0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	100,0	0,0	100,0
02 12	რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფი-ნანსება	400,0	0,0	400,0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2107,0
03 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	1437,0
03 02	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა	650,0
03 03	უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	20,0

განათლება

ორგანი ზაციული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა	2027 წლის გეგმა
04 00	განათლება	3733,5	4178,5	4402,5	4597,5
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	3578,0	3983,0	4194,0	4380,0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	60,0	60,0	60,0	60,0
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	75,5	90,5	100,5	105,5
04 06	სტუდენტების დაფინანსების პროგრამა	20,0	44,0	46,0	49,0

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

ორგანიზა ციული კოდი	დასახელება	2024 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონის-ძიებები	4321,0	240,1	4080,9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1211,1	240,1	1810,1
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	840,0	0,0	840,0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	504,0	0,0	504,0
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	52,5	0,0	52,5
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	653,7	240,1	413,6
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2108,8	0,0	2108,8
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1046,1	0,0	1046,1

05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა	475,0	0,0	475,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	587,7	0,0	587,7
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	60,0	0,0	60,0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0	0,0	50,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	52,0	0,0	52,0

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2024 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2199,4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	794,9
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	285,0
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენ-ტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	397,4
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	105,5
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	7,0
06 02	სოციალური დაცვა	1404,5
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	407,0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	250,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	30,0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	18,7
06 02 05	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	120,0
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	35,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობისა მსხვერპლთა პროგრამა	55,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	130,0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	60,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	60,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა	100,0
06 02 12	დღის ცენტრ ა(ა)იპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება	10,0
06 02 13	პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობი-სათვის“ თანადაფინანსება	39,3
06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება	89,5

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	რიცხოვნობა	2024 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	154	5875,2
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა	154	5686,5
01 01 01	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო	34	1825,8
01 01 02	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია	120	3834,9
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	0	25,8
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები		188,7
01 02 01	სარეზერვო ფონდი		100,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამარ-თლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი		1,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვა		87,7

წინასაახალწლო აქტივობები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, გიგა წურწუმიამ, სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის, კლინიკების - ,,არქიმედეს და „სენა-მედის" პერსონალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათები გადასცეს.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 123 ოჯახს, საახალწლო ნობათები გადასცა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსთან, ნატალია ხუბუასთან, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, რამაზ კუპრეიშვილთან ერთად, სოციალურად დაუცველ და სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და საშობაო ნობათები გადასცა.

სასაჩუქრე კალათა 11 სხვადასხვა სახეობის პროდუქტს მოიცავს და მისი საერთო ღირებულება 12 300 ლარია.

***

სადღესასწაულო პროგრამის ფარგლებში, 936-მა აღსაზრდელმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისგან საახალწლო საჩუქრები მიიღო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან, ალექსანდრე ჯანჯღავასთან ერთად, საახალწლო ნობათები ქალაქის მეორე საბავშვო ბაღის და ბაღ ,,ოცნებას" აღსაზრდელებს გადასცეს.

***

სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეტლით მოსარგებლე 6 ბენეფიციარს ახალი ეტლები გადაეცა.

ბენეფიციარებს ახალი ეტლები სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, გიგა წურწუმიამ და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებმა გადასცეს.

ეტლების შეძენა საერთაშორისო ასოციაციის - ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" მხარდაჭერით განხორციელდა.

,,სენაკის მუნიციპალიტეტში, მსგავსი აქტივობები აქტიურად გაგრძელდება, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

ტიტულოვან სპორტსმენთა დაჯილდოება

2023 წლის საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენის წოდება მიენიჭა გია ლატარიას - ვეტერან სპორტსმენს, მსოფლიო თასის ხუთგზის ჩემპიონს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირებზე - 8-ჯერ პირველი საპრიზო ადგილის მფლობელს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს;

წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება მიენიჭა გიორგი ჩხიკვაძეს - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ფალავანს, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონს, ჭაბუკებს შორის ორგზის ევროპის პრიზიორს, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონს, ევროპის ორგზის პრიზიორს, ასევე ევროპის ორგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელს;

წლის საუკეთესო ლეგიონერი სპორტსმენის წოდება მიენიჭა გიორგი დავითაიას - უცხოეთში მოღვაწე სენაკელ ფალავანს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორს, შავი ზღვის თამაშების ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებულს;

წლის საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენის წოდება მიენიჭა გიორგი ქვარცხავას - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეს, საქართველოს ორგზის ვიცე-ჩემპიონს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გიორგი, ბერძნულ-რომაული სტილით 15 წლამდელ მოჭიდავეთა შორის, პირველი სპორტსმენია ჩვენი ქალაქიდან, ვისაც წილად ვიცე-ჩემპიონის ტიტული ხვდა.

წლის საუკეთესო გოგონა სპორტსმენის წოდება მიენიჭა ანანო კინწურაშვილს - წარმატებულ ძიუდოისტს, საქართველოს ჩემპიონს, აფხაზეთის თასის ჩემპიონს, ევროპის თასის პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს;

2023 წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდება მიენიჭა მწვრთნელ-მასწავლებელს, რამაზ კოკაიას.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან ერთად, ასევე დააჯილდოვა წარმატებული კალათბურთელები: ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით ჩატარებულ ჩემპიონატში გამარჯვებული - I, II და III საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და მათ თასი, მედლები და სიგელები გადასცა.

,ქართული თეატრის ამბავი ანუ..."

,,ჩვენს ქვეყანაში თეატრს იმხელა ისტორია აქვს, არ შეიძლება ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცეს. დღეს, ერთად ვიმოგზაურებთ ქართული თეატრის იმ დროსა და სივრცეში, რომლის მოსმენაც მაყურებლისთვის აკრძალული იყო", – ასე დაიწყო თეატრმცოდნემ და ტელეწამყვანმა, ნიკოლოზ წულუკიძემ ,,ქართული თეატრის ამბავი ანუ..."

საღამოზე, ნიკოლოზ წულუკიძემ, მაესტრო ნიკა ნიკვაშვილთან, მომღერალ ნატალია ქუთათელაძესთან და რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად, მე-19 და მე-20 საუკუნეების თეატრი, საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ისტორიები, ქართული თეატრის იდუმალი ამბები და მოგონებები, რომელიც ხშირად ფარდის მიღმა რჩება, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის სცენაზე გააცოცხლა.

თეატრმცოდნემ, ქართული კინოსა და თეატრის ცნობილ მსახიობებთან - ნანული სარაჯიშვილთან და მარინა კახიანთან ერთად, ქართული თეატრის ის კორიფეები გაიხსენა, რომელთაც თეატრის აღორძინებასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს.

საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრა გამარჯვებულ ინტელექტუალებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ინტელექტუალური თამაშის - "ტვინების ბრძოლა" გამარჯვებული გუნდის - ,, სიენტიას" წევრებს, ქალაქ სენაკის N3 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებს - ნანო წულაიას, მონიკა აბშილავას, ნანი ჩოჩიას, ალექსი ჟვანიას, ლუკა გაბელიას, N3 საჯარო სკოლის დირექტორს, მარინე ნანეიშვილს და პედაგოგს, მედეა გოძელაძეს შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, მოსწავლეებს, ინტელექტუალური თამაშის ფინალურ ეტაპზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და განათლების მიღების გზაზე, შემდგომი წარმატებები უსურვა.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გამართულ ინტელექტუალური თამაშის ფინალურ ეტაპზე, მესამე საჯარო სკოლის გუნდმა - ,,სიენტიამ" ღირსეული გამარჯვება მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

2024 წლის 16 იანვარს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

***

2024 წლის 18 იანვარს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე.

2 .”სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

***

2024 წლის 18 იანვარს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრუ-

ლებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

სიკეთე უსასრულოა

კალანდა – შობა-ახალი წელი, კიდევ ერთი დიდი დღესასწაული სიკთის საკეთებლად, კიდევ ერთი საბაბი კაცთმოყვარეობისა და მოყვასის სიყვარულის გამოსახატავად!

როგორც წინა წლებში, წელსაც

გაგრძელდა სენაკის ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ- საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირის მიერ, უკვე ტრედიციად ქცეული, სადღესასწაულო საჩუქრებისა და დახმარების გაწევა სისტემაში დასაქმებული მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის.

სიკეთის კეთებას მაინდამაინც დღესასწაული არ სჭირდება, ამას ადამიანის გული ან ყოველთვის თან ატარებს, ან არა აქვს და ცარიელია, მაგრამ გაუმართლა ყველა იმ ადამიანს, ვისაც ოდესმე ურთიერთობა ჰქონია ისეთ გულსავსე ადამიანთან, როგორიც ჩვენი ინეზა ღვინჯილიაა. ის მარტო პროფესიული კავშირის მეთაური კი არ არის, უბრალოდ კაცთმოყვარე და სიკეთით სავსე ადამიანია, იმდენად სავსე, რომ მისი ასეთი მუხტი სხვებზეც გადადის.

აბა როგორ შეიძლება სიკეთეის მარათონში ისეთი ხალხის ჩაბმა, რომელთაც სამსახურეობრივად არაფერი აკავშირებს ჩვენს სისტემასთან. მართლია მათ თავიანთი სიუკეთის გაუთქმელობა ითხივეს, მაგრამ ნათქვამია „უმადურნი

ღმერთს არ უყვარსო”, ამ გამონათქვამის მოშველიებით გვინდა მადლობა გადავუხადოთ შ.პ.ს. „გორგასალს” და სენაკის კოლორიტ კაცს, სენაკის საპატიო მოქალაქეს ბატონ გოგი მაზრაშვილს,ყველაზე პატარა ქველმოქმედს ნინო ნანავას სიკეთის მარათონში გულუხვი მონაწილეობისათვის ,მათ მიერ გაღებულმა სიკეთემ ახალი წლის ღამე მართლაც ჯადოსნურად უქცია მრავლშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ამ აღფრთოვანების ერთ-ერთი მიზეზი მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ანსამბლის „ეგრისის” წევრების ბატონების – თამაზ ეჯიბიას, ნოდარ და ტრისტან ხუხუების დამსახურებაა.

კალანდის ყველა წესის დაცვით, ჩოხოსანი მეალილოებით, მეკვლეებითა და საჩუქრებით აღფრთოვანებული პატარა მასპინძლების გაბრწყინებული თვალების აღწერა- გადმოცემა ცოტა რთული საქმეა. ხოლო ჩვენი კეთილი ოპერატორის, ჯუკა ყურაშვილის კამერამ ბავშვებში საოცარი აღფრთოვანება და ინტერესი გამოიწვია, პატარების გონებამ უანგარო სიყვარული და პატივისცემა ალბათ სამუდამოდ აღბეჭდეს თავიანთ მეხსიერებაში, ჯადოსნურ ღამეს გაკეთებული ეს ქველმოქმედება სამომავლოდ უფრო დიდ ნაყოფს გამოისხამს.ეს თეატრალიზებული “მეკველობა” თითოეული პატარის გულში სითბოს ,სიკეთისა და სიყვარულის მარცვლად გდაიქცევა და თუ ეს ასე იქნება მაშინ ჩვენი საახალწლო სურვილებიც ახდება.

საქვემოქმედო მარათონი”სათნოების კალათა” გრძელდება. მსურველებს შეუძლიათ შემოგვიერთდნენ

და ბოლოს!!!

სენაკის ხელოვნების, მასმედიის, კულტურულსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირი (თავმჯდომარე ინეზა ღვინჯილია) სიყვარულით ულოცავს 2024 წლის შემობრძანებას ყველას, ვისაც გული სითბოთი, სიხარულითა და სიყვარულით აქვს სავსე.

ლია ღვამგერია

გრან-პრის ჩემპიონის ტიტული

19-21 იანვარს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გაიმართა ფრანგულ გრან პრის სერიის ტურნირი - „ანრი დეგლანის მემორიალი”, რომელიც ჭიდაობაში ფრანგთა ერთ-ერთი პირველი ოლიმპიური ჩემპიონის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. საიუბილეო თარიღი აქვს თავად შეჯიბრებასაც, რომელიც 50-ედ გაიმართა. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩვენმა თანაქალაქელმა, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა, ჭაბუკებს შორის ორგზის ევროპის პრიზიორმა, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონმა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა, არაერთი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულმა, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისა და 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულების მფლობელმა გიორგი ჩხიკვაძემ.

საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და 8 ოქროს, 7 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია 72 კილოგრამი წონითი კატეგორია ქართული ფინალით დაგვირგვინდა - გიორგი ჩხიკვაძემ მოუგო ოთარ აბულაძეს და საქართველოს ნაკრების ქართულ მონაგარს თითო ოქრო-ვერცხლი შეემატა.

„კოლხეთის” რედაქცია ულოცავს სენაკელ ფალავანს საფრანგეთის გრან-პრის ჩემპიონის ტიტულს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს

მ. შონია

14 იანვარი-ქართული თეატრის დღე

,,თეატრი ის ადგილია, სადაც ყოველდღე სასწაული ხდება"

პრემიერა

თეატრალური წყაროების მიხედვით ,,ქართული თეატრის დღეს საფუძველი ჩაეყარა 1850 წლის 14 იანვარს გიორგი ერისთავის მიერ, რომელმაც თბილისში პირველი სპექტაკლი ,,გაყრა" დადგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში".

თეატრის აღორძინება ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელშიც თავისი წვლილი რეგიონებსაც აქვთ შეტანილი. ამ მხრივ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი თავისი არქიტექტურული ნაგებობით, ისტორიით, კულტურული ტრადიციებით, დღევანდელობით ტოლდაუდებია. მისთვის შარშანდელი წელი გარდამტეხი იყო მიღწევებით, წარმატებებით, შემოქმედებითი აღმავლობებით დატვირთული. ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა - ვახტანგ ნიკოლავამ ახალი სული შთაბერა ჩვენი თეატრის თეატრალურ ცხოვრებას. დაიდგა არა ერთი გახმაურებული სპექტაკლი, როგორებიცაა: „ჰარპაგონი", „რომეო და ჯულიეტა", „მაკნატუნა", ნ. დუმბაძის „HELLADOS-გაკვეთილი".

აღნიშნულმა სპექტაკლებმა არა მარტო მაყურებლის, არამედ თეატრის კრიტიკოსთა მაღალი შეფასებები მიიღო, რომლებიც გაშუქდა ტელევიზიაში, დაიწერა რეცენზიები რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ პრესაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა თეატრის გასტროლები თბილისში, მათ დედაქალაქის უპირველეს რუსთაველის ეროვნულ თეატრში მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლი ,,ჰარპაგონი".

,,ჩვენ ვნახეთ დედაქალაქის გახარებული მაყურებელი, რომელიც ოვაციით შეხვდა რეგიონის თეატრს. სენაკის თეატრმა აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ გააკვირვონ თბილისელი მაყურებელი"(თ. წულუკიანი, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი)

- წლევანდელი სეზონი თეატრმა უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტათი" გახსნა. სულ ახლახანს იტალიელი მწერლის, ჯანი როდარის ,,ჩიპოლინოს თავგადასავლის" პრემიერა გაიმართა. სპექტაკლი სიმღერებით, ცეკვებით, კომედიური დიალოგებით გაჯერებული ზღაპარია და შემეცნებითი ხასიათისაა, ბავშვებს ასწავლის მეგობრობას, ერთგულებას, სიყვარულს.

სპექტაკლის ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია სენაკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა; სცენოგრაფია და მხატვრობა ეკუთვნით აივენგო ჭელიძეს, ემილ გეგენავასა და მალხაზ კორთხონჯიას; კომპოზიტორი და სიმღერების ტექსტების ავტორია კოტე მალანია, ქორეოგრაფი - გია მარღანია, კოსტიუმების მხატვარია სოფი ჩალაშვილი, კოსტიუმები შეკერა მაკა კილასონიამ; რეჟისორის თანაშემწეა ლალი გაბელაია.

სპექტაკლში მონაწილეობენ: ირაკლი ადამია, ტარიელ ზურაბაშვილი, ლადო კოკაია, ზურაბ ზურაბაშვილი, ჯამბულ ჭანტურია, ლალი გაბელაია, ელგუჯა ნოდარიძე, ეკა კოღუა, თამარ აბშილავა-კობახიძე, გიორგი მურუსიძე, ზვიად ზურაბაშვილი, რაულ კიკალეიშვილი, დიანა თურქია, ამირან მალანია და ანასტასია ზუხბაია.

სპექტაკლში ასევე, მონაწილეობენ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და დიმიტრი ჯაიანის სახელობის კულტურის ცენტრის ერთობლივი თეატრალური ხელოვნების სკოლა-სტუდიის აღსაზრდელები.

პრემიერას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები დედაქალაქიდან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, თეატრის თაყვანისმცემლები, სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა, კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა ხაზი გაუსვა სენაკის თეატრის წარმატებების ტრადიციად ქცევას და ყურადღება გაამახვილა სპექტაკლში დაკავებულ ბავშვებზე: ,, იმედი მაქვს, რომ ეს ბავშვები ჩვენი მომავალი თაობის დიდი ქართველი მსახიობები იქნებიანო".

პარტერში სხვადასხვა თაობის მაყურებელი ერთნაირი აღტაცებით გამოხატავდა თავიანთ ოვაციას, განსაკუთრებით პატარები იყვნენ აღფრთოვანებულნი. არც დიდები მალავდნენ თავიანთ განწყობას.

- **ა. ბაღათურია** – აღფრთოვანებული ვარ „ჩიპოლინოს თავგადასავალში" რომ ვმონაწილეობ. ვასახიერებ ყვავილს. მართლაც ჯადოსნური სამყარო შევქმენით და მაყურებელსაც დიდი სიხარული ვაჩუქეთ.

- **ბ. საჯაია** - გახარებული ვარ სპექტაკლის წარმატებით, რაშიც ალბათ ჩვენი წვლილიცაა. მადლობა სენაკის თეატრს ამ შანსისთვის.

- **მ. სურმავა** – აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, შეიძლება ითქვას, რომ ჯადოსნურ სამყაროში ვიმოგზაურე, ყველა მშობელს ვურჩევ შვილებთან ერთად ნახონ ეს სპექტაკლი.

- **მ. მიქაბერიძე** – ჩვენი თეატრი ყოველთვის იყო მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებით გამოვყოფ შარშანდელ სეზონს. რაც შეეხება დღევანდელ პრემიერას, საოცრებაა. თეატრის სტაჟიანი მსახიობები და ახალბედა ბავშვები ისე ვირტუოზულად თამაშობენ, რომ ბრავო.

-**გ. შამათავა**- ისეთი მაღალი დონის სპექტაკლია, რომ დიდი თეატრების სცენასაც დაამშვენებდა. მადლობა ჩვენს თეატრს ასეთი დონის სპექტაკლებით რომ გვანებივრებს.

პრემიერის დღეს სტუმრებს შეესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ თეატრში მოქმედი მუზეუმი. საქმე ისაა, რომ აღდგა სამუზეუმო მასალა, შეიქმნა ელექტრონული არქივი, მოეწყო საექსპოზიციო სივრცე.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მის ხელმძღვანელობას, შემოქმედებით დასს, თეატრის თვითეულ მუშაკს ვულოცავთ ქართული თეატრის დღესთან ერთად წარმატებულ პრემიერას. აღფრთოვანებული მაყურებლის ტაში და ოვაცია იყოს მუდამ თქვენი წინსვლის საწინდარი.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით მკითხველებს ვთავაზობთ გაზეთ ,,კოლხეთის ცისკარში" (1965 წ.) დაბეჭდილ ნათელა ლაშხიას (საქართველოს თეატრალური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი) წერილიდან ეპიზოდს, რომელიც ჩვენი თეატრის წარსულის მნიშვნელოვან და საინტერესო შტრიხებს მოიცავს.

,,ახალ სენაკში 1881 წლის 8 თებერვალს პირველი სცენის მოყვარეთ სპექტაკლი გაუმართავთ. წარმოუდგენიათ მოლიერის ,,ძალად ექიმი". ვისი თაოსნობით ან მონაწილეობით გაიმართა ეს წარმოდგენა, სამწუხაროდ არ ჩანს. გაზეთი ,,დროება" აღნიშნავს მხოლოდ ფაქტს და ბოლოს დასძენს: ,,ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება დაუმსახურებია ერთ ქალა ნ. ჩ-ს, რომელსაც ქართული სიმღერები უმღერიაო"(გაზ. ,,დროება" № 34, 1881 წ. 14 თებერვალი)

ამავე წლის 20 თებერვალს ამავე სცენის მოყვარეებს განმეორებით წარმოუდგენიათ ,,ძალად ექიმი" და გ. ერისთავის კომედია ,,გაყრა". როგორც პირველი, ისე მეორე სპექტაკლი მაყურებელს გულთბილად მიუღია...

ახალსენაკის პირველი სცენის მოყვარულები დიდი ხალისით მოჰკიდებიან საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი თეატრს არც კი იცნობდა. მაინც მშვენივრად შეუსრულებიათ ნაკისრი როლები. ესენი იყვნენ: ვ.დადიანი, მ.ხოფერია, ბ. ბებურიშვილი, ნ. მხეიძე, ვაჟები: დ. ჟვანია -ივანეს როლში, გ. ბებურიშვილი-ანდუყაფარი, ენუქიძე, ქავთარაძე, ლომინაძე და სხვები.

...ეს სპექტაკლი ახალსენაკის ნორმალური სკოლის სასარგებლოდ გაუმართავთ. ხოლო შემოსავლის ნაწილი მოსკოვში გაუგზავნიათ ერთერთი ღარიბი სტუდენტისათვის.

ამგვარად დ. ახალსენაკში საქველმოქმედო მიზნით გამართული პირველი სპექტაკლები მაყურებელმა კარგად მიიღო, რამაც სცენის მოყვარეებს კიდევ უფრო გაუძლიერა სპექტაკლების მართვის სურვილი. მათ გადაწყვიტეს გამოენახათ შენობა თეატრისათვის, შეეძინათ საჭირო რეკვიზიტი და ტანისამოსი. განხორციელდა თუ არა მათი გადაწყვეტილებანი არ ვიცით, რადგანაც ათი წლის მანძილზე ამ საკითხზე პრესაში არაფერი დაწერილა.

1891 წლიდან ისევ ჩნდება გაზეთის ფურცლებზე ცნობები ახალსენაკელ სცენის მოყვარეთა მოღვაწეობის შესახებ. 1891 წლის 1 დეკემბერს მათ წარმოუდგენიათ აკ. წერეთლის „კინტო", ხოლო 1892 წლის 19 იანვარს „ძალად ექიმი" და რ. ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრება", სპექტაკლში მონაწილეობა მიუღიათ ვ. აღლაძეს, ვ, ჯიჯიხიას, ნ. კალანდარიშვილს, ვ. ელიავას და სხვა.

ქ. ცხაკაიას მკვიდრის, ყოფილი სემინარიელის თეოფანე კალანდარიშვილის გადმოცემით, დაახლოებით ამავე წლებში, თბილისის სემინარიის მეორე და მესამე კურსის მოსწავლეებს, ახალი სენაკის მცხოვრებთ, არდადეგებზე რამდენიმე სპექტაკლი გაუმართავთ. სპექტაკლში მომაწილეობა მიუღიათ: თეოფანე კალანდარიშვილს, გიორგი გამზარდიას, ივანე კალანდარიშვილს და ახალ სენაკის ინტელიგენციის წარმომადგენლებს ტრიფონ კლანდარიშვილს(გაზეთ ,,ივერიის" კორესპონდენტს) და ს. საჯაიას. ქალებიდან: ეკა ჟურულს, გოგუცა საჯაიას, ფედოსია კალანდარიშვილს. მათ წარმოუდგენიათ თუთაევის „უშნო არშიყი" და ,,ცოლები დავკარგეთ". წარმოდგენა სოფელ შხეფშიც გაუმართავთ. მათი თამაში მოსწონებია ახალსენაკის შტაბის მოსამსახურეს მიხეილ დიდებულიძეს და უთხოვია დაბაშიც გაემართათ წარმოდგენა. მართლაც, მ. დიდებულიძის რეჟისორობით მათ წარმოუდგენიათ ვ. გუნიას „ხოლვეერობა". შემდეგ თეოფანე კალანდარიშვილმა მოიგონა, რომ ამ დიდებულიძეს საკუთარი დასი შეუდგენია და ხშირად დგამდა თურმე სპექტაკლებს ახალსენაკში, მაგრამ მას არ ახსოვს ვინ იყო ამ დასში, ან რა პიესები დადგეს.

გაზეთებიდან ამოკრეფილმა ცნობებმა დაადასტურა, რომ მიხეილ დიდებულიძეს მართლაც დიდი ამაგი დაუდვია ახალ სენაკში სცენისმოყვარეთა სპექტაკლების გამართვის საქმეში.

მისი ხელმძღვანელობით 1894-95 წწ სეზონში წარმატებით განუხორციელებიათ: ვ. გუნიას ,,მონადირე", კ.აბაშიძის ,,ტასიკო" და „ცოლი თუ გინდა ეს არის", კ. ყიფიანის ,,დატრიალდა ჯარა" და სხვა.

დადგინდა დასის შემადგენლობაც: ნესტორ გაბუნია, ფედოსია კალანდარიშვილი, ტრიფონ კალანდარიშვილი, ე. ელიავა, ვ. ლომინაძე და სხვა.

1894 წელს ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა. ახალსენაკში დაარსდა კლუბი, სადაც პატარა დარბაზი თეატრსაც დაეთმო. კლუბთან ჩამოყალიბდა სამკითხველოც. სწორედ ამ სამკითხველოს სასარგებლოდ 1865 წელს საცეკვაო საღამო გაუმართავთ.

გვერდი მოამზადა
ბ. სართანიამ

ფოტოალბომიდან

„ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი ქალაქის საპატიო მოქალაქეობაა"

ლალი გოგინავა სენაკში დაბადებულ-გაზრდილი ქალბატონია, რომელსაც ისეთი მდიდარი ბიოგრაფია აქვს, რომ თავისთავად გეამაყება მისი თანაქალაქელობა. ბავშვობისა და სტუდენტობის წლებზე თავად მოგვიყვება, ჩვენ კი უმჯობესია მისი სამუშაო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ საქმიანობას მივადევნოთ თვალი.

თავიდან მუშაობდა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში- აგრონომ - დეკორატორად, შემდეგ მთავარ აგრონომად. 1973 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივნად, 1976 წლიდან საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, მშრალი სუბტროპიკული კულტურების სექტორში, უფროსი ლაბორანტია, 1986-1990 წლებში აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ასპინძის რაიკომის მდივანი, 1990-1993 წლებში კი ახალციხის აგროსამრეწველო გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის წამყვანი ინჟინერი, 1993 წლიდან საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ბრუნდება უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, 2003-2009 წლებში მეხილეობის აგროტექნოლოგიური კვლევისა და შენახვა-გადამუშავების განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელია, 2009-2011 წლებში-მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, 2012 წლიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლად გვევლინება.

ჩვენი რესპონდენტი ზემოაღნიშნული საქმიანობის პარალელურად, 2006 წლიდან საპატრიარქოსთან არსებული დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის ლექტორია, 2010 წლიდან 2015 წლამდე ,,ქართუ ჯგუფის" მეცნიერ-კონსულტანტი. 2015 წლიდან მუშაობს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა"ს ექსპერტად მეხილეობის დარგში, 2016-2020 წლებში ჩართული იყო MERA, IFAD, GEF-სა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივ პროექტში ,,შერჩეული საწარმოო ჯაჭვებისათვის კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი აგრონომიული სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ტრენინგებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების საშუალებით". 2015-2019 წლებში მონაწილეობდა ასოციაცია ,,სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის" განხორციელებულ პროეტებში მეხილე ექსპერტად, 2018 წლიდან არის განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოებისა და განათლების მოდერნიზაციის" სამუშაო ჯგუფის წევრი, 2019 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კონსულტანტია მეხილეობის დარგში, 2020 წლიდან ჩართულია ავსტრიისა და ,,ელკანას" ერთობლივ პროექტში დონორი ADC ,,ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში".

2013 წლიდან დღემდე გაეროს განვითარების ფონდის მეცნიერ-კონსულტანტია მეხილეობის დარგში.

ლალი გოგინავა საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამორჩეულია. არის საპატრიარქოსთან, გარემოს დაცვისა თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, არასამთავრობო ორგანიზაციების ფონდის გამგეობისა და სამუშაო ჯგუფების წევრი.

მუდმივი სამეცნიერო კონტაქტები აქვს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან და პროფესორებთან.

ლალი გოგინავას 1995 წელს მიენიჭა სოფლის მეურნეონის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 2009 წლიდან არის სრული პროფესორი.

მას გამოქვეყნებული აქვს 105 სამეცნიერო შრომა, 28 რეკომენდაცია, 8 პატენტი, 145 საერთაშორისო და ადგილობრივი

კონფერენციის მონაწილეა. არის არაერთი წიგნის, გაზამკვლევის, ბროშურის, რეცენზენტი.

ცხოვრობს თბილისში, ჰყავს ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

ქალბატონო ლალი, რას ნიშნავს თქვენთვის სენაკის საპატიო მოქალაქეობა? საერთოდ რა ადგილი უკავია მშობლიურ ქალაქს თქვენს ცხოვრებაში?

დავიბადე და გავიზარდე სენაკში, სადაც ჩაიარა ჩემმა ბავშვობისა და ყრმობის პერიოდმა. ჩემი ქალაქი ყოველთვის გამორჩეული იყო. მხედველობაში მაქვს ცხოვრების წესი, ღირებულებები, ურთიერთობები.

სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში აგრონომიის განხრით, რომელიც წითელ დიპლომზე დავამთავრე და ბუნებრივია მქონდა შესაძლებლობა იქვე გამეგრძელებინა სწავლა ასპირანტურაში. თუმცა მივიღე გადაწყვეტილება, დავბრუნებულიყავი ჩემს ქალაქში და პროფესიის შესაბამისად მიმეღო მონაწილეობა მის წინსვლასა და აღმშენებლობაში. ასპირანტურაში სწავლა ცოტა შემდგომი წლებისთვის გადავწიე, დავბრუნდი სენაკში და ჩამოსვლისთანავე დავიწყე მუშაობა ერთერთ მეურნეობაში აგრონომად, გარკვეული დროის შემდეგ მოხდა ისე, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა მუშაობა კომკავშირის რაიონულ კომიტეტში. ეს სრულიად განსხვავებული სფერო გახლდათ, მაგრამ ახალგაზრდები და მათთან მუშაობა ანდამატივით მიზიდავდა. შემდეგ შევქმენი ოჯახი და მომიხდა სენაკის დატოვება. ცხოვრებამ სხვა შესაძლებლობები შემომთავაზა, რასაც თანდათან მოჰყვა სამეცნიერო საქმიანობა.

წლების შემდეგ მე მხვდა პატივი გამხვდარვიყავი ჩემი ქალაქის საპატიო მოქალაქე. იმ ქალაქის, რომლის სიყვარულში მე ვერავინ შემეცილება. თუ გადახედავთ ჩემს ბიოგრაფიას, წააწყდებით არაერთ სამეცნიერო ხარისხს, დამსახურებულ დიდებას და პატივს. მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი ქალაქის საპატიო მოქალაქეობაა. ეს ჯილდო მე კიდევ ერთხელ მაძლევს შესაძლებლობას, ჩემი პროფესიული გამოცდილება მოვახმარო ჩემი ქალაქის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

თქვენი მრავალფეროვანი ბიოგრაფია უნებლიე კითხვას ბადებს: ქალბატონმა, ოჯახის დედამ როგორ მოახერხეთ ამდენი? (ვგულისხმობთ სამეცნიერო ხარისხებს, გამოგონებებს, საზოგადოებრივ საქმიანობებს, შრომებს, პუბლიკაციებს, სამუშაო გამოცდილებებს...)

გეთანხმებით, ჩემმა აქტიურმა სამეცნიერო და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ არაერთი სამეცნიერო ხარისხი მომაპოვებინა და არაერთი გამოგონების ავტორი ვარ, მაგრამ ეს ხომ ჩემი მთელი ნახევარსაუკუნოვანი შრომის შედეგია. ხოლო თუ როგორ გავწვდი ამდენს, ახლავე აგიხსნით. მე ისეთი მეუღლის გვერდით მომიწია ცხოვრებამ,რომელიც იყო ქვეყნის საამაყო მამულიშვილი და ოჯახის დიდი საყრდენი. მან მე მომცა შესაძლებლობა მაქსიმალურად თვითრეალიზებული ვყოფილიყავი საკუთარ პროფესიაში. მიუხედავად მრავალი უძილო ღამისა და დიდი შრომისა, ჩვენ ორივემ შევძელით ჩვენს საქმეში მაქსიმუმი გაგვეკეთებინა და ამით გამოვდგომოდით ჩვენს სამშობლოს. მისი გარდაცვალების შემდეგ (2006 წელი), მიუხედავად იმისა, რომ წლები მეძალება, უფრო მეტად გავააქტიურე შრომა. ასე მგონია, თემურ მოსიაშვილი ყველაფერს ხედავს და ისევ ამაყობს ჩემით.

ჩვენი ქვეყნის აგრარული პოტენციალი რომ ამაღლდეს, სოფლის მეურნეობა სრულად განვითარდეს, რა არის უმთავრესი, როგორია თქვენი ხედვა ამ კუთხით.

სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, სწორედ ამიტომ ქვეყანაში დადებითი შედეგების მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული., თანამედროვე წარმოებისკენ მიმართული აგრარული პილიტიკის შემუშავება, ეკონომიკის სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვა, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო მიმართულებით კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და რაც მთავარია ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად.

თქვენი დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი, როგორები არიან (თქვენი თაობისაგან განსხვავებით), რას ურჩევდით მათ?.

მიყვარს ახალგაზრდები. მიყვარს იმიტომ, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ლამაზი მომავალია. უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობის გამო, ახლო შეხება მაქვს ახალგაზრდებთან. თვალს ვადევნებ მათ მისწრაფებებს და მიხარია რომ ისინი არიან მოტივირებულები. ყველა თაობაში გამოერევიან ზარმაცები, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. არ უნდა შეგვეშინდეს, მთავარია შევინარჩუნოთ მშვიდობა და დამოუკიდებლობა, ბედნიერ მომავალს ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდები შექმნიან.

დღევანდელი ახალგაზრდობა იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან განსხვავებით ჩვენი თაობისგან მათ აქვთ უსაზღვრო შესაძლებლობები. კერძოდ, ინტერნეტი, ინფორმაციისადმი წვდომა, ახალი ტექნოლოგიები, სწავლის და განვითარების შესაძლებები, საერთაშორისო საგანმანათებლო ინსტიტუტებზე წვდომა სახელმწიფო და დონორების დაფინანსებით.

ვფიქრობ, აუცილებელია დღევანდელმა ახალგაზრდებმა გამოიყენონ ეს შესაძლებლობები და მაქსიმალურად მოახმარონ ჩვენს ქვეყანას.

თქვენი თანაქალაქელებისადმი კიდევ რამე ხომ არ გაქვთ გასაზიარებელი?

ჩემს თანაქალაქელებს პირველ რიგში ვეტყოდი რომ არ დატოვონ თავისი ქალაქი, ისწავლონ, იშრომონ და მოახმარონ თავიანთი ცოდნა და გარჯა მშობლიურ სენაკს, მე კი რითიც შემიძლია ყოველთვის გვერდში დავუდგები ჩემს სენაკს.

ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქეობა ტრადიციულად ენიჭება ადამიანებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვეყნისა თუ ქალაქის წინაშე. ლალი გოგინავა თავისი ღვაწლით, გაკეთებული საქმეებით, სამეცნიერო მიღწევებით... მთელი თავისი განვლილი გზით სწორედ ასეთი გამორჩეული ადამიანი გახლავთ. ამიტომაც გვინდა მოვეფეროთ და მადლობა ვუთხრათ იმ მუხლჩაუხრელი შრომისათვის, ცხოვრების გზაზე რომ გაუწევია და დღესაც აგრძელებს.

ქალბატონო ლალი, „კოლხეთელთა" სახელით ახალ წელს გილოცავთ, გისურვებთ დღეგრძელობას, პროფესიულ საქმიანობაში კი ახალ-ახალ წარმატებებს.

ნინო სართანია

მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა

მამუკა ხორავა დაიბადა 1978 წლის 24 ოქტომბერს. 1991 წელს დაამთავრა სოფელ ზანის საშუალო სკოლა. 2002 წელს საქართველოს უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ელექტრომომარაგების ინჟინრის კვალიფიკაციით. მას 46000 კვ. მეტრზე გაშენებული აქვს ტყემლის ბაღი. რატომ დაინტერესდა მეწარმეობით, რა სირთულეებს წააწყდა, ახალგაზრდებს რა რჩევებს მისცემდა და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება მამუკა ხორავა.

გამიჩნდა სურვილი დამეწყო საქმე, რომელიც წარმატებას მომიტანდა. გამომდინარე იქიდან, რომ მიყვარს სოფლის მეურნეობა, მიწასთან მუშაობა, ვიფიქრე გამეშენებინა ტყემლის ბაღი. რატომ? ტყემალს ქართულ სამზარეულოში ვერაფერი ცვლის. მისი საწებელი პირველ ადგილზეა და ეს არა მარტო გემოსა და არომატის, არამედ მისი, როგორც ძალზე მარგებელი, სამკურნალო თვისებების გამოც. გარდა ამისა, ტყემლის მურაბა, კომპოტი, ტყლაპი, კვაწარახი, არაყი საყოველთაოდ ცნობილი და ყველა ოჯახის აუცილებელი პროდუქტებია. დასავლეთ საქართველოში ტყემალი ბევრგან იყო გაშენებული, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე თითქმის უმრავლესობა ამოძირკვეს, ბევრი თავისით გახმა, ეს რა თქმა უნდა ცუდია, გამომდინარე იქიდან, რომ მის ნაყოფზე მოთხოვნა ყოველ წელს იზრდება.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ნიადაგურ-კლიმატური მახასიათებლები სუბტროპიკული ზონის ტიპისაა და შესაძლებელია ტყემალი კარგად გაშენდეს. მით უფრო, როცა ნიადაგისადმი ტყემლის კულტურა ნაკლებმომთხოვნია და ადვილად ხარობს; ყინვაგამძლეა, უყვარს სითბო და სინათლე და მავნებელ დაავადებებსა და ავადმყოფობას კარგად უმკლავდება. იტანს როგორც სიმშრალეს, ისე, ნოტიო პირობებს, ადვილი მოსავლელია. საშუალოდ ერთი ზრდასრული ძირი 200 კგ და ზოგჯერ მეტ ნაყოფსაც იძლევა.

ჩვენს საქმეში კლიმატს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც კლიმატის არამდგრადობა მეწარმეებს სირთულეს უქმნის.

ტყემალი მიზანშეწონილია გავაშენოთ მზიან და ქარისგან დაცულ, შედარებით მაღალ ადგილებში. შესაძლებელია ქარსაფარი ზოლის გაშენებაც. ამისთვის გამოდგება სწრაფმზარდი მცენარეები, მაგალითად: აკაცია და სხვა თაფლოვანი მცენარეები, რომელიც თავის მხრივ მეფუტკრეობის განვითარებასაც წაადგება.

დარგული მაქვს ძირითადად ორი ჯიშის ტყემალი: მირაბელი და გულდედავა. 4-5 წლიანი ნარგავებია, რომელიც ჯერჯერობით სრულმოსავლიანი არ არის.

ძალიან მიზანდასახული, შრომისმოყვარე ვარ, არ მიყვარს დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება. არც სიძნელეების მეშინია, ვთვლი პირველ რიგში უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც აკეთებ. ამიტომ მიმაჩნია ახალგაზრდები უნდა დაინტერესდნენ მეწარმეობით, მათ ყველაფერი აქვთ იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულები, მთავარია ცოდნა, გამოცდილება შეიძინონ და გარისკონ. ჩვენ ისეთი ნაყოფიერი მიწები გვაქვს, უქმად არ უნდა იყოს. ბევრი მეწარმე ქვეყნის ძლიერების გარანტია.

ვსარგებლობ შემთხვევით და სრულიად საქართველოს მივულოცავ 2024 წლის დადგომას, არ მოკლებოდეს ქართველ ერს უფლის მფარველობა

მ. გერგაია

განცხადება

დაიწყო და მიმდინარეობს გაზეთ „კოლხეთზე" ხელმოწერა 2024 წლისთვის

<u>სპორტი</u>

საახალწლო ტურნირი

სენაკის მაგიდის ჩოგბურთის კლუბში ჩატარდა ,,საახალწლო ტურნირი", რომელშიც სენაკის, ფოთის, ზუგდიდის და ხობის 33 ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა. გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ანი ძველაიამ, 14 წლამდე ასაკის ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ალექსი ცინარიძემ, მესამე - ნოდარ ძველაიამ.

მოყვარულთა შორის პირველ ადგილზე გავიდა – მერაბ აფხაზავა, მეორე ადგილზე კი დათო ფაცია.

ტურნირი ჩატარდა მწვრთნელ-მასწავლებლის კობა ჩხიკვაძის ორგანიზებით.

საშობაო ტურნირი

6 იანვარს, სენაკის მაგიდის ჩოგბურთის კლუბში, სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლის, კობა ჩხიკვაძის ინიციატივით გაიმართა საშობაო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისელი, ბათუმელი, სამტრედიელი, ზუგდიდელი, ფოთელი და სენაკელი სპორტსმენები.

პირველი ადგილი ბათუმელმა სპორტსმენმა ლევან ბელიაშვილმა დაიკავა, მეორე სენაკელმა დავით გეგენავამ, ხოლო მესამე კობა ჩხიკვაძემ.

ტურნირს, სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში, მამუკა ბაბილუა ესწრებოდა.

ვულოცავთ სპორტსმენებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

მ . ჟუბაბრია

<u>ხსოვნა</u>

თვალჩინა ხურცია



მონატრების, ტკივილის, რეალობასთან შეგუების 40 ცრემლიანი დღე გავიდა რაიონში გამორჩეული ფარმაცევტის, ყველასათვის საყვარელი ქალბატონის თვალჩინა ხურციას გარდაცვალებიდან.

ძნელია შესაფერისი სიტყვების მოძებნა იმ გულისტკივილის გადმოსაცემად, რაც მის მარადიულობაში გადანაცვლებას მოჰყვა.

ჩვენო თვალჩინა, შენ რამდენიმე ათეული წელი ემსახურებოდი შენს საყვარელ საქმეს, იყავი შენი საქმის პროფესიონალი, ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდი დაკისრებულ მოვალეობას, საოცრად ყურადღებიანი კოლეგა და მეგობარი, არასოდეს ამბობდი უარს გამოცდილება გაგეზიარებინა კოლეგებისთვის, ახალგაზრდებისათვის. ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელთანაც გქონია ურთიერთობა და მისი სიმპატია და სიყვარული არ დაგემსახურებინოს.

ყველგან და ყველაფრით გამორჩეული იყავი, შენი ოჯახის დიდი ძალა და სიამაყე. ამბობენ ხის სიძლიერე ფესვებიდან იზომებაო, შენ იყავი დაფასებული ოჯახის შვილი, მოამაგე დედა, შეუდარებელი ბებია. დიდი და ჩვილი გულის მატარებელი.

ჩვენ, შენი მეგობრები დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ შენი გარდაცვალების გამო, შენ ყოველთვის იქნები ჩვენთვის, როგორც მაგალითი კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, სითბოსა და სიყვარულისა.

შენ ყოველთვის დარჩები ჩვენს გულებში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა!

მეგობრები

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თენგიზ თოფურიძეს შვილის

ლევან თოფურიძის

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33